# დროება

## ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 234 ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი 1909 წ. № 234

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თიკოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ ფელეტონები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

**დროება**

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან, ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

### „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

წარმოდგენა № 9. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 9.

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, 1909 წელს. პირველი აბონიმენტი.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

კომედია ვ. შექსპირისა.

**ჭირვეული ცოლის მორჯულება**

კომედია 3 მოქმედებად თარგ. კ მესხისა.

**დედის ერთა**

კომედია 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამხული, კ. მესხი, ვ. შატარამე, შ. საფაროვი, კ. შათირიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „იმედის დაღუპვა", „ქოჩრიანი ტოროლა".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

**მთავარი კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭარნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან წილს გადასდებენ

**ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი.

ქართული წარ- **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 5.

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ.

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**მელანიას თინები**

კომედია 4 მოქმ. გად. კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, მარგველაშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბადაშვილი, ფირუმიანი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და ყურ-ხაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6.—18)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—88

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (ბაგუთის ქუჩა) აბულაძის მეზობლად, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—11)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—ფ.—30)

**ექიმი ზ. მაგაკიანი.**

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—43)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (ფ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (ფ)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან **გაიხსნა**

**სამკურნალო**

პირის და კბილების სნეულება. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—25)

**ექიმა** ქუთაისში. **ვოლოხვა**

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., წოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—10)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—278)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. გოლოვ. ძეგლ., მონუმენტის მეზ. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—29)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—38)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—43)

**ექიმი მ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (ფ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—35)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—85)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—11)

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ტარტიუფი**

კომ. 5 მოქმედებად მოლიერისა, თარგ. ვ. მაჭავარიანისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 1 ნოემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი" სუმბათაშვილისა, »რაც გინახავს, ვეღარ ნახავ«, ა. ცაგარლისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—1) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

**ქართული თეატრი**

სამშაბათს, ამა ოქტომბრის 27-ს,

**წ.-კ. საზოგადოების გამგეობის მიერ**

—◀ **გაიმართება** ▶—

**ილია ჭავჭავაძის საღამო**

1. განყოფილება: „სქესი, სიყვარული და „განდეგილი"—ლექცია გრ. რობაქიძისა.

2. კონცერტი **ვანო სარაჯიშვილის,** ი. ბარათაშვილის, ნ. გაბუნია-ცაგარლის და სხვათა მონაწილეობით.

3. ცხოველი სურათები ილიას თხზულებიდან („დედა და შვილი", „კაკო", „აჩრდილი", „პოეტი", „დიმ. თავდად.", „გაზაფხული", „გუთნის დედა") დეკლამაციით.

**ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.** (5—1)

**ქართული თეატრი**

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

**გრიგოლ რობაქიძისა**

ამ თემაზე:

**სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა**

ლექციის დაწყების წინ **ბ. ივ. გომართელი** წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. **ნიკოლოზ ერისთავი** წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის გასაში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათს.** (5—4)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—186)

**პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ**

„დროების" კანტორა აცხადებს, რომ აგენტად პროვინციაში ჩვენი გაზეთის გაგზავნის საქმეში რჩება ისევ ბ-ნი გაჩეჩილაძე, წინანდელ პირობებით, ამიტომ პროვინციის აგენტებმა ფული

**ისევ ბ-ნ გაჩეჩილაძეს უნდა გამოუგზავნონ.**

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველ დღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოყოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—12½ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ, გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. 11½—12½ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის მეთოდით. (00—6.—107)

**სამკურნალო**

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—41)

„ტფილისის სობრანიე"

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, 1909 წ.

**საოჯახო საღამო**

საღამოზე დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი გიჯინის გამგეობით.

**ანონსი:** შემდეგი საოჯახო საღამო შაბათს, 24 ოქტომბერს. (1—514—1)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ეს ერთი ხანია, ბათუმის ქალაქის გამგეობისა და ადგილობრივ გაზეთის „ბატ. იზვეს."-ს შორის შავმა კატამ გაირბინა. სულ რამდენიმე თვეა, რაც ხსენებული გაზეთი იმის მეტს არაფერს აკეთებს, რომ ავად იხსენიებს და ლანძღავს ქალაქს გამგეობას და განსაკუთრებით გამგეობის წევრს ბ-ნ ჟურულს. ასეთ გზასა და კვალს გაზეთი ერთბაშად და მოულოდნელად დაადგა. ამ გარემოებას ეხლა ყურადღება მიაქციეს ტფილისის გაზეთებმაც. უკვე დაიბეჭდა წერილები „მომავალ"-ში და „ზაკავკაზიე"-ში. ორივე გაზეთებმა გაჰკიცხა „ბატუმსკი იზვ." და აღნიშნა, რომ მისი საქციელი კერძო ინტერესებით არის გამოწვეულიო. აი, მაგალითად, რასა სწერს „მომავალი".

„ბატ. იზვ." ირწმუნება, ჩვენ ბერეჟიანსა და ხომერიკს არ ვიცავთო. **ფორმალურად** მართალია. არ იცავს და ვერც დაიცავს, ძალიანაც რომ ეცადოს, მაგრამ **არსებითად** ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაზეთის მთელი შურის მაძიებელი კამპანია ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ სწორეთ ბერეჟიანისა და ხომერიკის სამსახურიდან დათხოვნითაა გამოწვეული".

ბერეჟიანი და ხომერიკი წინად ქალაქის საავადმყოფოში მსახურებდნენ თურმე. ისინი დაუთხოვნიათ ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულ რევიზიის შემდეგ. ამასთან დათხოვნილი ბერეჟიანი მამა ყოფილა „ბატ. იზვ."-ს ეხლანდელ რედაქტორისა. აი, გაზეთების სიტყვით, ამ ნიადაგზე დაიწყო შურისძიება.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბები, მაგრამ თვით „ბატ. იზვ."-ს საქციელი-კი, გარეშეს, საქმეზე შორს მდგომს, ნება უნებურად ეჭვს უბადებს. საქმე ის არის, რომ ბ-ნნი ანდრონიკაშვილი, ბათუმის ქალაქის თავი, და ჟურული, გამგეობის წევრი, ეხლა არ გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. მთელი წლებია, რაც ისინი ბათუმის თვით-მმართველობაში მსახურობენ. მათი ავიცა და კარგიც იცის ყველამ, ვინც შორიდან მაინც თვალ-ყურს ადევნებს ბათუმის თვით-მმართველობის ცხოვრებას. მით უმეტეს გასაოცარია ეხლა ის, რასაც ბათუმის გაზეთი მათ შესახებ სწერს. ბათუმის გაზეთს თუ დავუჯერებთ, ისინი ყოველ ღირსებას მოკლებულნი ყოფილან, მეტიც: ამათთანა ბოროტი და მავნებელი ხალხი მთელ კავკასიაში არ მოიპოვება.

ჩვენ არ გვინდა დავიცვათ თავ. ანდრონიკაშვილი და ბ-ნი ჟურული. ვიცით, რომ მათაც ბევრი ნაკლულევანება აქვთ, მაგრამ ასე უცბად მათ წინააღმდეგ ამხედრება და მიწასთან გასწორება გაზეთის კეთილ-განზრახვებს არა მოწმობს. ზემოდაც მოვიხსენიეთ, რომ გაზეთმა ერთბაშად და მოულოდნელად მიჰყო ხელი ქალაქის გამგეობის კიცხვას და ეს ამბავი იმ დღიდან დაიწყო, როცა ზემოხსენებული ბერეჟიანი და ხომერიკი დაითხოვეს. სად იყო გაზეთი წინად? თუ ასეთი ბოროტი კაცები იყვნენ გამგეობის წევრნი, რატომ გაზეთი მაშინ არ იღებდა ხმას?

ერთი პატარა შენიშვნაც. „ბატ-იზვ."-მ შემოქმედებაც კი ვერ გამოიჩინა: იგი იმავე კილოთი და ლექსითა ლანძღავს თვით-მმართველობის წარმომადგენელთ, როგორსაც ჩვეული იყო ნეტარ-ხსენებულ პალმის ორგანო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ოქტომბერი

**თეირანი.** სამხრეთ სპარსეთში ცარცვა-გლეჯა გაძლიერდა. ისფაჰანის და შირაზის გზები რამდენიმე ას შეიარაღებულ ყაჩაღის ხელშია. ამ დღეებში კაშაინცებმა დეშტიარდუნში გაცარცვეს ინგლისის ტელეგრაფი. ამ ჟამად ტელეგრაფი ცუდად მოქმედებს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშითა სააგენტომ არდებილის მდგომარეობის შესახებ შემდეგი ცნო-

ბები მიიღო: ამ უკანასკნელ დროს შაჰსევანებმა ისარგებლეს სპარსეთში მომხდარ არეულობით და სპარსეთის მთავრობის სისუსტით და კავკასიის მოსაზღვრე არდებილის ოლქში ყაჩაღობა დაიწყეს. ზაფხულში შაჰსევანები მიუახლოვდნენ ქალაქ არდებილს და ერთ დროს თავიანთი ყაჩაღობით იქნობამდის მიიყვანეს საქმე, რომ არდებილ-ასტარა-თავრიზის გზაზე ქარავნებით მიმოსვლა შესწყდა, რამაც ის გამოიწვია, რომ ასტარინის ნავთსადგურში აუარებელი გაუგზავნელი საქონელი შეგროვდა. რუსეთის კონსულების წყალობით ასტარინის ნავთ-სადგურიდან ყაზახების თანხლებით თავრიზში გაიგზავნა კარგა ბლომა საქონელი. ამასობაში შაჰსევანებმა თავი მიანებეს ყაჩაღობას და არდებილიდან წავიდნენ. ოქტომბრის დასაწყისში ხმა გავრცელდა, შახსევანებმა ყარადაღელებთან ერთად არდებილზე გაილაშქრეს, მათ მეთაურობს ცნობილი რახიმ-ხანიო. შახსევანების და ყარადაღელების ამ გალაშქრებას პოლიტიკურ ხასიათს აძლევდნენ: შაჰსევანებმა და ყარადაღელებმა მიტომ გაილაშქრეს არდებილზე, რომ სურთ გადაყენებული შაჰ მაჰმედ-ალის ტახტი დაუბრუნონო და კონსტიტუცია გააუქმონო. გენერალ-გუბერნატორმა თავრიზიდან არდებილში მათ წინააღმდეგ გაგზავნა ცნობილი სათარ-ხანი თავის ფიდაებით. სათარ-ხანს არდებილში წესიერება უნდა აღედგინა და ზომები უნდა მიეღო კავკასიელ ფიდაების წინააღმდეგ. სათარ-ხანი არდებილში ჩასვლისათანავე შეეცადა კავკასიელ ფიდაებისთვის იარაღი აეყარა და არდებილიდან განედევნა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში არდებილს რახიმ-ხანის მეთაურობით მიუახლოვდნენ შაჰსევანები და ყარადაღელები. ისინი გზა და გზა უწყალოდ სცარცვავდნენ სოფლებს. სათარ-ხანი მიატოვა მისი ფიდაების უმეტესმა ნაწილმა და თავრიზში დაბრუნდა. 12 ოქტომბერს რახიმ-ხანი არდებილთან გაჩერდა და შეეტაკა ქალაქის მცირე დამცველებს. სათარ-ხანი და გუბერნატორი ციხეში ჩაიკეტნენ და მცხოვრებლები ღვთის ანაბარა დაჰყარეს. უკანასკნელ ცნობებით სათარ-ხანი არდებილიდან სერაბში გაიქცა, სადაც მას დაეწივნენ შაჰსევანები, ალყა შემოარტყეს სერაბს და სათარ-ხანის გაცემა მოითხოვეს. ამის გამო სპარსეთის მთავრობამ ბრძანება გასცა თავრიზიდან არდებილში ჯარის გაგზავნის შესახებ. ჯართან ერთად თეირანიდან უნდა წასულიყო სპარსელ ყაზახთა ორი ასეული. მაგრამ თავრიზიდან ჯარის გაგზავნა შეფერხდა, რადგან მთავრობას საჭირო ფული და სამხედრო მასალა არ ჰქონდა. თეირანიდან ყაზახთა ორი ასეული ჯერ კიდევ გვიან მოვა არდებილს, რადგან თეირანიდან არდებილი ძალიან დაშორებულია. ამასობაში რუსეთის არდებილის კონსულმა მიიღო ზომები, რომ უზრუნველ ეყო რუსის ქვეშევრდომები. რადგან კონსულს სულ ასი ყაზახი ჰყავდა და ამ მცირე რაზმის დაქსაქსვა სასურველად ვერ დაინახა, ამიტომ რუსის ქვეშევრდომებს წინადადება მისცა ერთ ალაგას მოიყარეთ თავი და ყაზახები გიყარაულებენო, თქვენი ქონება კი სახლებში გაუშვით, თუ დაიკარგება რამე სპარსეთის მთავრობას ვაზღვევინებთო. ამასთან ერთად რუსეთის თავრიზის კონსულმა რახიმ-ხანს მისწერა, რუს ქვეშევრდომების ქონების უზრუნველ-ყოფაში პირადად თქვენ აგებთ პასუხსო. რუსეთის არდებილის კონსულის ზემოდ მოყვანილი ბრძანება მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო არ ასრულებულა. საქმე იმაშია, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ისე შეშინდნენ, რომ თავიანთ სახლებს თავი მიანებეს და რუს ქვეშევრდომების სახლებს მიაშურეს. ამ რიგად რუსი ქვეშევრდომები იძულებულნი გახდნენ სახლებში დარჩენილიყვნენ. შახსევანები და ყარადაღელები ესვრიან ციხეს, რომელიც რუსეთის საკონსულოს ახლოა. ამრიგად შესაძლებელია საკონსულოც დაზიანდეს. ამიტომ რუსეთის მთავრობამ მიიღო ზომები, რომ რუსეთის საკონსულოს დამცველი რაზმი გაძლიერდეს. რაზმას გასაძლიერებლად ჯარი კავკასიის ოლქიდანგაი გზავნება, რადგან თავრიზიდან და ყაზვინიდან რუსის ჯარის ნაწილის გაგზავნა დიდ დროს მოითხოვს.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** ტარონის ნახშირის მაღაროებში წყალი ჩავარდა. მაღაროები სულ წყლით აივსო. ჯერჯერობით გადაარჩინეს 150 მუშა. გამოირკვა, რომ მაღაროებში 74 მუშა დარჩა. იპოვეს 3 მუშის გვამი.

**მადრიდი.** აღმოსავლეთ—ჩრდილოეთ ესპანიაში ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალის შემდეგ კოკისპირული წვიმა დაუშვა. ზოგიერთ ქალაქებში მცხოვრებლები ძალიან დაზიანდნენ. ამას გარდა გაფუჭებულია რკინის გზები, ლიანდაგი, ტელეგრაფის ბოძები და სხვა.

**არეულობა საბერძნეთში.**

**ათინა.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა: საზღვაო არეულობა რამდენიმე საათში ჩავაქრეთ და ეს ერთგულ ფლოტის და ჯარის მეცადინეობას უნდა მიეწეროს. მეამბოხეების საქმე სასამართლოს გადაეცა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შესაფერად დაისჯებიან მეამბოხენი. საზღვაო მინისტრად ნამყოფმა კუმუნდურესმა წინადადება შეიტანა, ჯილდო აღუთქვათ იმათ, ვინც გაქცეულ მეამბოხეებს დაიჭერს და მეამბოხეების ოჯახის წევრები საბერძნეთის სხვა და სხვა ადგილებში გადავასახლოთო.

**რ უ ს ე თ ი**

**სარატოვი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა ვოლსკის მაზრის გლეხთა კავშირის საქმე. სამართალში მიცემული იყო 7 კაცი. სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს, ვოლსკის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გამგეს ერთი წლით, ხოლო ამავე სკოლის მასწავლებელს სამი თვით ციხე, ხუთი კაცი გაამართლა.

სამხედრო სასამართლომ განიხილა 17 კაცის საქმე. მათ ბრალდებოდათ სოციალისტ-მაქსიმალისტების სარაევის ორგანიზაციის წევრობა, მღვდლის მოკვლა და ვაჭრის გაცარცვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს ჩამოხრჩობა, რვას სხვა და სხვა ვადით კატორგა, ხუთი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა სახელმწიფო სათათბიროს წევრებად ნამყოფ, კუპსტასის, პოვილისის, კუმელისის, გულოვიჩის, სტარშევსკის და გლებ რადზევიჩის საკასაციო საჩივარი. მათ ბრალდებოდათ ლიტვინურ გაზეთ „ეხოში" სარევოლიუციო მოწოდების დასტამბვა, რისთვისაც სამოსამართლო პალატამ თითო წლით ციხე გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან შესდგა კომისია, რომელიც განიხილავს საკითხს ნავთიან ადგილების იჯარის შესახებ. აზრადა აქვთ, შეამცირონ მცირე ნავთიან ადგილების იჯარა. უნდა დაწესდეს იჯარის მინიმუმი და მაქსიმუმი. ამ განსაზღვრას კომისია ამ დღეებში შეუდგება.

## ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ორი კაცის მოკვლა.** 20 ოქტომბერს, საღამოს $6^1/_2$ საათზე, ორი უცნობი კაცი კიროჩნი ქუჩაზე მინავლებულა. უცნობები რაღაც საქმისათვის ცოტას სამკერვალოში შესულან. როდესაც უცნობნი გამოსულან, პოლიციას განუზრახავს მათი დაპატიმრება. ამ უკანასკნელთ წინააღმდეგობა გაუწევიათ და რევოლვერები უსროლიათ. პოლიციელებსაც სროლითვე უპასუხნიათ და ორ ვე უცნობი სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ერთი იქვე გარდაცვლილა, ხოლო მეორე —მიხეილის საავადმყოფოში იმავე საღამოს. პოლიციელთაგან დაიჭრა სროლის დროს მსუბუქად ერთი. მოკლულნი აღმოჩნდნენ მიხო კოხრეიძე და ვალერიან მესხიძე. მოკლულებს აღმოაჩნდათ მაუზერისა და ბრაუნინგის რევოლვერები, პატრონები პატრონტაშით და ფულად 182 მან. 20 კაპ. მესხიძეს ჯიბეში აღმოჩნდა აგრეთვე 50 მან. ყალბი ფულის მსგავსი, უბის წიგნი და სხვა.

✦ **შეკითხვა.** „კასპი"ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: მემარჯვენენი მასალას აგროვებენ „დაშნაკციუთუნის" პარტიის მოქმედების შესახებ. მათ აზრად აქვთ სათათბიროში შეკითხვა შეიტანონ.

✦ **ახალი ჟურნალი.** ახლო მომავალში, როგორც გადმოგვცეს, ტფილისში სვ. ყიფიანის რედაქტორობით გამოვა ახალი ჟურნალი „საქართველოს მოამბე".

✦ **სინოდის განკარგულება.** სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენების თანახმად, სინოდმა დაადგინა: „1. მიეცეს წინადადება საქართველოს სასინოდო კანტორის მდივანს მგალობლიშვილს, შემოიტანოს თხოვნა სამსახურიდან გასვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფრთხილებულ იქმნას, რომ პასუხის-გებაში იქნება მიცემული; 2. დაევალოს საქართველოს ექსარხოსის მოადგილეს ეპისკოპოსს გრიგორის, წარმოუდგინოს სინოდს ცნობა იმის შესახებ, ჩამოერთვათ თუ არა ხელ-წერილი კანტორისა და საეპარქიო კანცელარიების მოსამსახურეთ, რომ ისინი მთავრობის საწინააღმდეგო პარტიებს ან ჯგუფებს არ ეკუთვნიან და თუ არ ჩამოერთვათ, ეხლა მიეცეს წინადადება ყველა მოსამსახურეს დასდოს ასეთი ხელ-წერილი. ამასთან უნდა გააფრთხილონ: ვინც არ აასრულებს ამ მოთხოვნას, დაუყოვნებლივ სამსახურიდან იქნება დათხოვნილი; 3. მდივნები სასინოდო კანტორისა ა. დავითაშვილი და იმერეთის კანცელარიის თუთბერიძე, კანცელარიის გამგის თანაშემწე დ. დავითაშვილი, კანტორის მოხელე ნ. დევიძე, კანცელარიის მოხელენი მ. მონასელიძე და ლუკა დოთიაშვილი და გადამწერები კ. გაბუნია და კ. ბაბუციძე სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ, რადგან მათ შესახებ არა კეთილ-საიმედოების საბუთები და ცნობებია ეს გარემოება აცნობრთ მათ. 4 გამოიცხადოს ორივე დავითაშვილს და თუთბერიძეს, რომ უწმ. სინოდი უურადღებოდ სცნობს იმათ დარჩენას ძველ ადგილებზე და ეცდება მათი განათლებისა და მდგომარეობის შესაფერ ადგილზე გადაყვანას".

✦ **საქსოვ-საღებავი ქარხანა.** „ზაკ."-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიის საბჭო თანახმაა გახსნას ტფილისში მატყლის საღებავ-საქსოვი ქარხანა. ამ ქარხნის გახსნა ითხოვა შინაგან [illegible] სამინისტროს ქარხნის პროექტი [illegible] თხოულობს დამატებით ცნობებს საზოგადოებისაგან, რომლის მიღების შემდეგ, საკანონ-მდებლო გზით გამოთხოვილი იქნება 23,000 მანეთი სახელმწიფო ხაზინიდან ქარხნის ასაგებლად და მოსაწყობად.

✦ **ინგლისელი კაპიტალისტები.** სამთო-მადნო გამგეობამ ცნობა მიიღო პეტერბურგიდან, რომ კავკასიაში აპირებენ ჩამოსვლას ინგლისელ კაპიტალისტთა წარმომადგენლნი აზბესტის მადნების გამოსარკვევად საქართველოს სამხედრო გზაზე. ინგლისელები დაათვალიერებენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოში, ბაღდათში, ნავთის მადნებს და ქარობის სახელმწიფო ტყეს. (ზ.).

✦ **„ივერია" და „ნ. ტიფლისი".** გასულ ორშაბათს არ გამოვიდნენ ორშაბათის გაზეთები „ივერია" და „ნ. ტიფლისი".

✦ **ლომთათიძე.** „რეჩი"-ს სიტყვით, დეპუტატად ნამყოფ ლომთათიძის მეუღლეს შუამდგომლობა აღუძრავს, ჩემი ქმარი სევასტოპოლის ციხიდან სხვაგან გადაიყვანეთო. ლომთათიძე ძალიან ავად არის თურმე. ლომთათიძის მეუღლის სიტყვით, სატუსაღოს ადმინისტრაცია სასტიკად ექცევა ლომთათიძეს. სატუსაღოს ადმინისტრაციას, სხვათა შორის, ლომთათიძისთვის წაურთმევია სხვა და სხვა ნაწერები. ამის გამო ლომთათიძის ცოლი სატუსაღოს ადმინისტრაციას ზარალს უჩივის.

● ჯიბგირები მეტად მოხერხებულად სხარცვავენ სოფლიდან მოხულ ხალხს. ეს გაქნილები უმთავრესად ისეთ ადგილებს ეტანებიან, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს. ვორონცოვის ძეგლთან 20 ოქტომბერს ჯიბგირებმა შეუთვალთვალეს ქართლელს ნიკოლოზ მძინარაშვილს და როდესაც ეს უკანასკნელი კოჩუბეის ქუჩაზე გავიდა, იქ ჯიბგირებისაგან დაგდებული პაკეტი ნახა. პაკეტზე ყალბი ხამანეთიანი იყო დაკრული ისე მოხერხებულად რომ მნახველი იფიქრებდა, პაკეტი სულ ფულით არის სავსეო. მძინარაშვილს აუღია პაკეტი და წასულა. გზაზე წამოეწევიან ჯიბგირები და უთქვამთ, ჩვენ დიდ ძალი ფული დავკარგეთ და უნდა გაგჩხრიკოთო. გაჩხრეკის დროს მძინარაშვილისათვის ჯიბიდან 30 მან. ამოუცლიათ და მიმალულან.

● 20 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა ახალციხის მცხოვრები მიხეილ ანიაშვილი, რომელიც გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა.

# ყ ა შ ტ ა ნ კ ა

**მოთხრობა ან. ჩეხოვისა.**

1.

**ცუდი ყოფა-ქცევა.**

ახალ-გაზრდა, ჯიშ-ნარევი ძაღლი, რომელიც თავის დინგით ძალიან წააგავდა მელას, ქუჩის ფილაქანზე წინ-და უკან დარბოდა და შეშფოთებული აქეთ-იქით იყურებოდა. ხან ჩერდებოდა, ხან ერთ გაყინულ ფეხს ტირილით ასწევდა ხოლმე, ხან მეორეს, და სცდილობდა მიმხვდარიყო: როგორ მოხდა, რომ გზა დაჰკარგა.

კარგად ახსოვდა, როგორ გაატარა დღე და ბოლოს ამ უცნობ ფილაქანზე როგორ გაჩნდა.

დღე ასე დაიწყო: მისმა ბატონმა, დურგალმა ლუკამ, ქუდი დაიხურა, წითელ ხელსახოცში გახვეული, ხის რაღაც იდლიაში ამოიჩარა და დაუძახა:

— წაბლავ, წამო!

რა წამს თავისი სახელი გაიგონა, წაბლა მაშინვე გამოძვრა დაზგის ქვეშიდან, სადაც ბურბუშელაზე ეძინა, ტკბილად გაიზმორა და თავის ბატონს უკან გაჰყვა. ისინი, ვისაც ლუკას საქმეებს შეუკვეთავდნენ ხოლმე, ძალიან შორს სცხოვრობდნენ, ისე რომ ვიდრე დურგალი მათდამდის მივიდოდა, იგი ღონის მოსაკრებად დუქნებში რამდენჯერმე უნდა შესულიყო. წაბლას ახსოვდა, რომ გზაში ის ძალიან უზრდელად იქცეოდა. გახარებული, რომ სასეირნოდ წაიყვანეს, ხტოდა, ცხენის რკინისგზას ყეფით მისდევდა ხოლმე, ეზოებში შერბოდა და ძაღლებს დასდევდა. დურგალი თვალიდან წარაშორა, ჰკარგავდა, ჩერდებოდა და გაჯავრებული უყვიროდა ხოლმე. ერთხელ გაბრაზებულმა ბატონმა მისი მელის ყური მუჭაში დაიჭირა და გაბმით უთხრა:

შენამც გა... გუ... დულხარ... ჭირიანო!

როცა ლუკა იმათთან საქმეს მორჩა, ვინც სამუშაოს უკვეთავდა, დაუკან ბრუნდებოდა. ერთი წუთით დასთან შეიარა, იქ დანაყრდა და ცოტაც გადაჰკრა. აქედან ნაცნობ მკაზმავთან წავიდა. მკაზმავიდან ტრაქტირში, ტრაქტირიდან ნათლიმამასთან. ერთის სიტყვით, როცა წაბლა ამ უცნობ ფილაქანზე გაჩნდა, უკვე ღამდებოდა და დურგალიც მთვრალი იყო. იგი ხელებს იქნევდა, მძიმედ ოხრავდა და ბუტბუტებდა:

„ცოდვებში დამბადე მე, დედაო! ოხ, ცოდვები, ცოდვები! აი, ეხლა ქუჩაში მივდივართ და ფარნებს ვუცქერით. მაგრამ როცა დავიხოცებით—ცეცხლის გეჰენიაში დავიწვით".

ხან კი ბატონი კეთილი ხდებოდა; წაბლას თავისთან უძახოდა და ეუბნებოდა:

— შენ, წაბლავ, მწერი ხარ და სხვა არაფერი. ადამიანისაგან შენ ბევრით არ განსხვავდები.

როცა დურგალი წაბლას ასე ელაპარაკებოდა, ერთბაშად მუსიკამ დაიგრიალა. წაბლამ მიიხედა და დაინახა, რომ ქუჩაზე, პირდაპირ იმისკენ ჯარი მოდიოდა. წაბლა, რომელსაც მუსიკის ატანა არ შეეძლო, რადგან იგი ნერვებს უშლიდა, ერთ ადგილას დატრიალდა და შეჰყეფა. წაბლას განსაცვიფრებლად დურგალმა იმის მაგიერ, რომ შეშინებოდა, დაეკნავლა და დაეყეფა, ძალიან გაიღიმა, გამოიჭიმა და მთელი ხუთი თითი ქუდთან მიიღო. რაკი წაბლამ ნახა, რომ ბატონი არ გაუჯავრდა, უფრო ხმა-მაღლა შეჰყეფა, თავ და ვიწყებული ქუჩას ეცა და მეორე მხრის ფილაქანზე გადახტა. როცა გონს მოვიდა, მუსიკა აღარ უკრავდა და არც სადმე ჯარი იყო. წაბლამ ქუჩა გადირბინა, მივიდა იქ, სადაც ბატონი დასტოვა, მაგრამ,— ვაი!—დურგალი იქ აღარ იყო. წაბლა ჯერ წინ გაიქცა, მერე უკან დაბრუნდა, ქუჩა ერთხელ კიდევ გადირბინა, მაგრამ დურგალი არსად იყო, თითქოს დედამიწამ ჩაყლაპაო. წაბლამ ფილაქანს დაუწყო სუნვა იმ იმედით, რომ კვალის სუნით ბატონს იპოვიდა, მაგრამ ვიღაც ოხერს ახალი კალოშებით გაევლო და ეხლა ყველა სუნი რეზინის მწვავე სუნში ირეოდა და რისამე გარჩევა შეუძლებელი იყო.

წაბლა წინ-და-უკან დარბოდა, მაგრამ ბატონს მაინც ვერა პოულობდა. ბნელდებოდა. ქუჩის ორივე მხარეს ფარნები აინთო და სახლების ფანჯრებიდანაც შუქმა გამოაშუქა. მსხვილი, ფუნჩულა თოვლი მოდიოდა და ქვა-ფენილს, ცხენების ზურგს და მეეტლეთა ქუდებს თეთრად ჰფარავდა. და რაც უფრო ბნელდებოდა ჰაერი, საგნები მით უფრო თეთრდებოდა. წაბლას წინ-და-უკან უცნობი შემკვეთებლები დადიოდნენ და თვალთ ეფარებოდნენ, მთელ კაცობრიობას (წაბლა ორ, ძალიან უთანასწორო, ნაწილად ჰყოფდა: პატრონებად და შემკვეთებლებად. ამათ შორის არსებითი განსხვავება იყო: პირველთ ნება ჰქონდათ მისთვის ეცემნათ, ხოლო მეორეთათვის თვითონ მასა ჰქონდა ნება კუნთებში სწვდომოდა) შემკვეთლები. სადღაც მიეშურებოდნენ და წაბლას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

როცა სრულიად დაბნელდა, წაბლას სასოწარკვეთილებამ და შიშმა შეიპყრო. ერთ კარებში მიიკუნჭა და მწარე ტირილი დაიწყო. მთელ დღეს მხოლოდ ორჯერ მოუხდა ლუკმა: მკაზმავთან ერთი ბეწო წებო შეჭამა და ერთ ტრაქტირში დაზგის წინ კალბასის ტყავი იპოვნა— ეს იყო და ეს. წაბლა რომ კაცი ყოფილიყო, უეჭველია, ასე იფიქრებდა: „არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება! უნდა თავი მოვიკლა".

2.

**საიდუმლო უცნობი**

მაგრამ წაბლა არაფერზე არა ფიქრობდა და მხოლოდ სტიროდა. როდესაც რბილი და ფუნჩულა თოვლი იმის ზურგსა და თავს შემოეკრა და მოქანცულმა მძიმედ თვლემა დაიწყო, ერთბაშად კარებმა დაიჩხაკუნა, დაიწკნავლა და წაბლას ფერდში მოხვდა. წაბლა წამოხტა. გაღებულ კარებში ვიღაც კაცი გამოვიდა, ის შემკვეთელთა ხარისხს ეკუთვნოდა. რადგან წაბლამ დაიწკნავლა და უცნობს ფეხებში მიედო, მასაც არ შეეძლო მისთვის ყურადღება არ მიექცია, დაიკუზა და ჰკითხა:

— ცუგრი, საიდანა ხარ? რამე გატკინე? უ-უ, საწყალო! ჰო, კარგი, ნუ ჯავრობ ნუ... დამნაშავე ვარ.

წამწამებზე რთვილ დაკიდებულ თვალებით წაბლამ უცნობს შეჰხედა და თავის წინ ერთი დაბალი, სქელი, ჩასუქებული, პირ-მოპარსული, ცილინდრიანი და გაფარღალებულ ქურქ წამოსხმული კაცი იდგა.

— რასა სწკმუტუნებ?—განაგრძო უცნობმა და თან თითით ძაღლის ზურგიდან თოვლის ფხეკა დაიწყო:— სად არის შენი პატრონი? შენ, უეჭველია, დაკარგულხარ! უი, საწყალი ცუგრი! აბა, ეხლა რა ვქნათ?

რაკი წაბლამ უცნობის ხმაში ალერსიანი კილო იგრძნო, ხელი აულოკა და უფრო საცოდავად დაიწკმუტუნა.

— კარგი კი ხარ, სასაცილო— სთქვა უცნობმა.—პირწავარდნილი მელა ხარ! ეჰ, რა ვქნა, სხვა გზა არ არის, წამომყე! იქნებ რაშიმე გამომადგე: უიტ!—მან ტუჩები დაატკაცუნა და წაბლას ხელით ანიშნა. ამ ნიშანს მხოლოდ ერთი აზრი უნდა ჰქონოდა: „წავიდეთო". წაბლა გაჰყვა.

ნახევარ საათის შემდეგ წაბლა ერთ დიდ და ნათელ ოთახში იჯდა. თავი გვერდზე გადაეგდო და უცნობს, რომელიც მაგიდას მოსჯდომოდა და სადილობდა, სიამოვნებით შესცქეროდა. უცნობი სჭამდა და წაბლას ლუკმებს უყრიდა. ჯერ პური და ყველის ქერქი მისცა, მერე ხორცის ნაჭერი, ქათმის ძვლები და მან კი შიმშილისაგან გამგელებულმა, ყველაფერი ისე სჭამა, რომ გემოც კი ვერ გაიგო და რაც უფრო მეტსა სჭამდა წაბლა, მით უფრო მეტ შიმშილსა ჰგრძნობდა.

— როგორც გეტყობა, შენი პატრონები ძალიან ცოტას გაჭმევდნენ!—ამბობდა უცნობი, რაკი ხედავდა, რომ წაბლა დაუღეჭავ ლუკმებს გამგელებული სიხარბით ჰყლაპავდა:—თან რანაირი გამხდარი ხარ, ცარიელი ტყავი და ძვლები...

წაბლამ ბევრი ჭამა, მაგრამ ვერ გაძღა, მხოლოდ დათვრა. სადილის შემდეგ შუა ოთახში გაიჭიმა. მთელს ტანში საამურ ღონიერების ჰგრძნობდა და კუდს აქნევდა. ვიდრე მისი ახალი პატრონი დივანზე გადაწოლილი სიგარასა სწევდა, ის კუდის ქნევით შემდეგ საკითხსა სწყვეტდა: სადა სჯობიან—უცნობთან თუ დურგალთან? უცნობის სახლის მოწყობილობა ღარიბული და ულამაზოა: სავარძლების, დივნების, ლამფის და ხალიჩების გარდა ამას სხვა არაფერი აქვს და ოთახი ცარიელსა ჰგავს. დურგალს კი ოთახები ბარგითა აქვს გაჭედილი: აქვს მაგიდა, დაზგა, ბურბუშელის გროვა, შალაშინები, ხერხები, გალია ჩიტით, თაბახი. უცნობსას არაფრის სუნი არა სდგას, დურგალთან კი მუდამ ბურუსი სდგას და წებოს, ლაქისა და ბურბუშელის საუცხოვო სუნია. სამაგიეროდ, უცნობს ერთი უპირატესობა აქვს— ეს ბევრს აჭმევს და, სიმართლე უნდა ითქვას, რომ როცა წაბლა მაგიდის წინ იჯდა და უცნობს მოწყენილად უცქეროდა, არც ერთხელ არ ჩაურტყავს მისთვის, ფეხები ერთხელაც არ დაუტყაპუნებია და არც ერთხელ არ დაუყვირნია: „იქით დაიკარგე, წყეულო".

როცა ახალმა ბატონმა სიგარა მოსწია, გარედ გავიდა და რამდენისამე წუთის შემდეგ უკან შემობრუნდა, ხელში პატარა ნაალი ეჭირა.

— შენ ეი, მურიავ, აქ მოდი!— უთხრა მან წაბლას და ნაალი კუთხეში დააგო:—აქ დაწექი, დაიძინე!

შემდეგ უცნობმა სანთელი ჩააქრო და ოთახიდან გავიდა. წაბლა ნაალზე დაწვა და ჩასთვლიმა. ქუჩიდან ყეფა შემოესმა. იმასაც უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ერთბაშად დაღონდა. მოაგონდა ლუკა, მისი შვილი თედო, დაზგის ქვეშ თბილი ადგილი... მოაგონდა, რომ ზამთრის გრძელ ღამეებში, როდესაც დურგალი რანდავდა ან გაზეთს ხმამაღლივ კითხულობდა ხოლმე, თედო ჩვეულებრივ მას ეთამაშებოდა თედო წაბლას დაზგის ქვეშიდან ფეხებით გამოათრევდა ხოლმე, ისეთ ფოკუსებს აკეთებინებდა, რომ საწყალ წაბლას თვალთ უბნელდებოდა და სახსრები ტკივილს უწყებდა, თედო უკანა ფეხებზე აყენებდა,

# მოწერილი ამბები

სიღნაღი „უბედურ კაცს ქვა აღმართშიაც დაეწევაო“. ეს ანდაზა ჩვენს სიღნაღზეა გამოჭრილი. ქვეყანა წინ მიდის, ქალაქები უვლდგან აყვავდნენ და მარტო სიღნაღი დარჩა ერთ წერტილზე. ყველგან ქალაქებს მცხოვრებნი ემატებათ, სიღნაღიდან კი გარბიან. ვისაც კი ცოტაოდენი გროში უშოვნია, ვისაც-კი ძალა და ჭკუა მოსდევს, გაურბის სიღნაღს. არც სასწავლებელი, არც ქუჩები, არც სამკითხველო, არც წყალი, არც ბულვარი, არც განათლებული ხალხი და, წარმოიდგინეთ, აღარც სიმდიდრე. კახეთის მომავალმა რკინის გზამ ხომ სულ საგონებელში ჩააგდო სიღნაღი.

მოგეხსენებათ, რომ სიღნაღი 13—14 ვერსით დაცილდეს უახლოვეს ვაგზალს. საქობოს მაგიერ, სადაც წინად იყო განზრახული რკინის-გზის სადგური, სოფ. ვაქირის ბოლოს, ჭიაობებში, მართავენ სადგურს. ეს ადგილი-კი სიღნაზე დაშორებულია. როცა უფროსი ინჟინერი ადრიანოვი მოვიდა, სიღნაღის სტაროსტას გამოუცხადა: შეიძლება სადგური საქობოს ან მაშნაარის ბოლოს გაიმართოს, მხოლოდ ამისათვის საჭიროა, რომ ქალაქმა დახმარება გაგვიწიოს: 1600—2000 მანეთი გადასდოს, რომ ახალი ვარიანტი გამოიკვლიოს 25 ვერსის მანძილზე. ეს ფული სამუშაოდ იქნება საჭირო, რადგან თავად-აზნაურთაგან გადადებული ფული სულ დავხარჯეთო. ქალაქის სტაროსტამაც იმედი მისცა. მაგ. ფულს მოვაგროვებ, ოღონდ მოგვიახლოვეთო. ადრიანოვი წავიდა ტფილისში და შემდეგ რუსეთში. სტაროსტამ ვ. ი. ენიკოლოფოვმა გუბერნატორისგან ნებართვა აიღო ფულის მოგროვებისა, მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ სიღნაღელებმა მხარი არ დაუჭირეს თვით ქალაქის „მამას“. ჯერ რამდენჯერმე მოიწვია ბ-ნმა ენიკოლოფოვმა სიღნაღის „წარჩინებული“ მოქალაქენი, მაგრამ არც ერთხელ საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა. მერე შეადგინეს ვითომ სია კომისიის წევრთა (15 კაცამდის), რომელთაც უნდა შეეკრიფად 2000 მ. რამდენჯერმე იყვნენ მოწვეულნი ამ კომისიის წევრნი, პოლიციის შემწეობითაც კი შეატყობინეს მათ, მაგრამ არავინ გამოცხადდა და ყური არავინ მოუგდო. მაშინ ენიკოლოფოვმა, დროებით სიღნაღში მცხოვრებელმა კ. ტ—ძემ და ხმოსანმა არტემ შავერდოვმა სამი დღე იარეს, მთელი ვაჭრები შემოიარეს, მაგრამ 300 მან. ძლივს მოაგროვეს—ესეც მარტო ხელი მოაწერეს, თორემ ნამდვილად მხოლოდ 50 მან. შეკრიბა. ამასთან წარმოიდგინეთ, რომ ღარიბები უფრო სინდისიერად აწერდნენ ხელს, მდიდრები კი იმალებოდნენ და სულ ნაკლებ აწერდნენ, ასე რომ აქაურმა მდიდრებმა ძმათა ავთოფოვებმა 30 მან. მოაწერეს, მდიდარმა ვაჭრებმა—მღაშოვმა, სპიგ-შლმა და ამირადოვმა სრულებით არაფერი არ მოაწერეს და პანდურითაც გამორეკეს ქალაქის წარმომადგენელნი, აქაურმა მემამულეებმა და სახლების პატრონებმა ამირხანოვმა და არტემ შავერდოვმა ხუთ ხუთი მან. მოაწერეს და სხვა და სხვა.

ერთის სიტყვით, ფული არ შეიკრიფა, ინჟენრები, რომელნიც ორიკვირა სიღნაღში ისხდნენ და ელოდებოდნენ, ცარიელ ტარიელნი გასტუმრეს სიღნაღიდან. რა მიზეზია, იკითხავთ, ნუ თუ სიღნაღს არ შეუძლიან 2000 მან. მოგროვება ან ქალაქის კასსა ასე ღარიბიაო. დიახ, ბატონებო, სიღნაღელები ღარიბნი არიან, მაგრამ არც ისე, რომ ამ მცირე ფულის შეგროვება არ შესძლებოდათ. მაგრამ მიზეზად შემდეგს ასახელებენ: ხმოსნები გაჯავრებულნი არიან ქალაქის სტაროსტა ენიკოლოფოვზე; მისი გამოცვლა უნდათ და ვერ მოუხერხებიათ, რადგან ბ-ნი ენიკოლოფოვი უოკელ იარაღს ხმარობს და არაფერს არ ერიდება, რომ შეინარჩუნოს სტაროსტის ადგილი. ქალაქის მცხოვრებნი გაჯავრებული არიან ენიკოლოფოვზე, ვერ უპატიებიათ იმისთვის, რომ იგი თავის დროზე არ ეცადა, არა სთხოვა ინჟენრებს, აგრეთვე თავად-აზნაურობის მარშალს, როცა თავ. პ. ი. თუმანიშვილი სიღნაღში იყო, რომ სადგური სიღნაღზე ახლო გაეკეთებინათ; გარდა ამისა, სიღნაღელები აღარ ენდობიან ბ-ნ ენიკოლოფოვს: რამდენჯერ შავკრიფეთ ფული და არც ერთი საქმე არ გაკეთებულაო. 2000 მან. „დამბისათვის“ შავკრიფეთ, მაგრამ ისე გაასკეთეს, რომ წყალმა ჩაქცია და დამის სიღნაღი ორ ნაწილად გაჰყოსო.

ერთის სიტყვით, სიღნაღელებმა ჯობრი უყვეს თავიანთ სტაროსტას და ამით ქალაქი დააზარალეს, რადგან რაკი სადგომი 14 ვერსზე იქნება, ვაჭრობა სადგურთან ვაკეზე გაჩაღდება და ისედაც გამოფიტული, ღრთ-ზღრთ სიღნაღი სამუდამოდ დაცარიელდება.

**ელიბოს ნათესავი.**

# ცეცხლი სურამში

როგორც „დროების“ სამშაბათის ნომერში იყო აღნიშნული, გადაიწვა სურამში თითქმის მთელი ებრაელების უბანი.

შაბათს, 18 ოქტომბერს, ღამის თორმეტ საათზე, უცბად ასტყდა ეკლესიების ზარის რეკა და თანაც შეუწყვეტელი თოფის სროლა, რამაც, რასაკვირველია, მსწრაფლ გამოაღვიძა წყნარად მიძინებული დაბა. ხალხი აიშალა, მაგრამ თქვენ მტერს, რაც სურათიც მათ თვალწინ გადაიშალა. მთელი სურამი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ხალხი სულ მთლად დაიბნა, ვეღარაფერს ახერხებდა, რადგან ერთ მხარეს ცეცხლს ჰხედავდა, მეორე მხარეს-კი შეუჩერებელი თოფის სროლა ისმოდა. იმის შიშით, რომ ყაჩაღები დაგვესხნენ თავსაო, პატარა ხანს ვერა ბედავდა გარეთ გამოსვლას, მაგრამ ცეცხლი თან და თან ძლიერდებოდა და მთელი სურამის ჰორიზონტი ცეცხლის ალით წითლად ლაპლაპებდა.

ცეცხლი ერთის ებრაელის, თაზურიშვილის, სახლიდან ერთბაშად რამდენსამე სახლს წაჰკიდებოდა. ხალხს თავ-გზა დაეკარგა და რანაირად მოქცეულიყო აღარ იცოდა, დიდი ცეცხლმა მოედანი დაიჭირა და გარშემო ალში სურამის ციხე-ლი მოსჩანდა სახლის გადარჩენის იმედი ძლარავისა ჰქონდა, მაგრამ მაინც რაც საშუალება მოეპოვებოდათ, ყველაფერს ზედ ახმარდენ. ხაშურიდან დაიბარეს ბოქაული, რომელიც სტრაჟნიკებით მოვიდა. ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდა მთელი საზოგადოება და ადგილობრივ კამანდის სალდათები, მაგრამ მაინც ცეცხლი მეორე დღის 7 საათამდის ვერ ჩააქრეს.

დაეწვათ სახლთან ერთად მთელი საცხოვრებელი პური (მარცვლად თუ ფქვილად), ლობიო, ქერი, სიმინდი, ერთის სიტყვით ყველაფერი, რითაც თავი უნდა გამოეტანათ. ვერაფრის გადარჩენა ვეღარ მოასწრეს; თუ ვინმემ ფართალი ან სხვა რამ გარეთ, იქვე სასაფლაოზე აიტანა, აქაც გაუჩნდნენ ავხელნი და ჩუმად აცლიდნენ.

ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა. დაიწვა 70 სახლი და სალოცავი. 15 სახლის გარდა მთელი ებრაელების ნაწილი ფერფლად აქცია, ზარალი უდრის ნახევარ მილიონზე მეტს.

მეორე დღეს ებრაელები დიდი და პატარა სტიროდა. როგორც იყო საზოგადოების შემწეობით სახლები უიქირეს და დაბინავდნენ.

ასე ამნაირად დაიღუპა 100 კომლამდის ებრაელი და სხვის ამარად დარჩა. მათთვის დღეს დღეობით აღარც სახლია და აღარც რამ საცხოვრებელი. კიდევ კარგია, რომ სურამში ბევრი ცარიელი აგარაკია და დაზარალებულნი დროებით იქ მოთავსდნენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთანა ბედი დღეს არა, ხვალ მაინც ეწეოდა ებრაელების უბანს. ვისაც უნახავს სურამში ეს უბანი, ამაზე ყველა დამეთანხმება: სახლები უგეგმოდ იყო ერთი-ერთმანეთზე მიყრილი.

საჭიროა კვლავისთვის მაინც ყურადღება მიექცეს ამას და ერთ გეგმაზე აშენდეს სახლები.

**გ. მოუსვენარიძე.**

# დადგენილებანი მეურნეთა კრებისა

როგორც ვიცით, ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დროს, 1, 4,5 და 6 ოქტომბერს მოხდა ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეთა კრება. მოგვყავს ამ კრების უმთავრესი დადგენილებანი.

1. საქარის სანერგეს მოქმედების ცენტრი გადატანილ იქმნას გუბერნიის დასავლეთ ნაწილში.

2. მევენახეობის ტეხნიკის გასაუმჯობესებლად საქარის სანერგესთან დაარსდეს კარგად მოწყობილი მევენახეობის სადგური.

3. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და ამხანაგობებს, აგრეთვე სოფლის საზოგადოებებს მიეცეთ განსაკუთრებული უფლება გამოიწერონ ხოლმე საზღვარ-გარეთიდ ნ უბაჟოდ ვაზისა და ვენახის საწამლელად საჭირო სხვა და სხვა წამალი და იარაღი. ამ დაწესებულებებს შეეძლებათ ზოგიერთ შემთხვევაში პირობით შეეკრან კერძო ვაჭრებს (წამლებისა და იარაღების გამყიდველებს) და თავიანთ სასარგებლოდ გამოართვან მათ საქონლის ღირებულობის ნაწილი, არა უმეტეს 2 პროც.-სა. ეს ფული საჭირო იქნება სასტიკ კონტროლის დასაწესებლად.

4. აღიძრას შუამდგომლობა, რომ ან შესუსტდეს ან სულ გაუქმდეს სააქციო ზედამხედველობა ადგილობრივ ჩაიზე. ასეთი ზედამხედველობა აფერხებს ჩაის წარმოებას.

5. აღიძრას შუამდგომლობა, რომ აზინამ ჩაის გასასაღებლად დაარსოს ჩაის ერთი ქარხანა.

6. ეთხოვოს კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტს, ჩაის საქმისთვის დაინიშნოს სპეციალისტი ინსტრუქტორი.

7. რადგან ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებული ბუნებრივი და ეკონომიური პირობებია, დაარსდეს გუბერნიაში ერთი სარაიონო საცდელი სადგური. თუ უფულობის მიზეზით ამისი განხორციელება შეუძლებელია, საჭიროა გუბერნიის შუა გულში მოეწყოს ადგილობრივი სადგური მაინც. სადგურმა პრაქტიკულად უნდა შეიმუშავოს საკითხები სასოფლო-მეურნეობისა.

8. იმ რაიონებში, სადაც ხვნათესვას ჰისდევენ და, სხვათა შორის, სვანეთში, მოეწყოს საცდელი მინდვრები.

9. ხვნა-თესვის გაუმჯობესების საქმეში ყველაზე დიდი მნიშვნელობა სანიმუშო მინდვრებსა აქვს. ამიტომ უნდა მოეწყოს ასეთი მინდვრები მოსიარულე ინსტრუქტორების შემწეობით. დიდად საჭიროა დაინიშნოს გუბერნიაში ორი ინსტრუქტორი მაინც, ერთ გუბერნიის დასავლეთ, მეორე აღმოსავლეთ ნაწილში.

10. რადგან სასოფლო-სამეურნეო იარაღის, მაშინების, თესლის, სასუქის და წამლის საწყობის მოწყობა ა[illegible] ჟამადაც შეუძლიანთ სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებს, [illegible] ბებს და კოოპერატივებს, ამიტომ ვთხოვოთ გუბერნიაში [illegible] ამხანაგობებს, გააცნონ ხალხს ასეთ დაწესებულებათა წესდება და დაარსების წეს-რიგი.

11. შუამდგომლობა აღიძრას, რომ მოუსავლობით დაზარალებულ რაიონების მცხოვრებთ მიეცეთ საშემოდგომო თესლი. შემოდგომის ნათესი სიმინდზე ადრე მოვა და ხალხს მიეშველება.

12. შუამდგომლობა აღიძრას, რომ დაწესდეს შეღავათიანი ტარიფი იმ სიმინდზე, რომელიც სხვა ადგილებიდან ქუთაისის გუბერნიაში შემოაქვთ.

13. მოუსავლობით დაზარალებულ რაიონებში შეჩერდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ გადასახადების შეკრება.

14. გადაიდოს საიმპერიო საკვებ თანხიდან ფული მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა საჭიროებისთვის. ფული სესხად მიეცემათ.

15. მოუსავლობით დაზარალებულთა წარმომადგენლებისაგან აირჩეს სპეციალური კომისია, რომელმაც ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კომისიასთან ერთად უნდა შეჰკრიბოს დაწვრილებითი ცნობები მოუსავლობის შესახებ, გამოარკვევს თუ რა დახმარებაა საჭირო დაზარალებულთათვის. ეს ცნობები შუამდგომლობის აღსაძვრელად უნდა გაეგზავნოს ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში.

16. სასურველია მეფუტკრეობის ინსტრუქტორების ყოლა ისეთ გუბერნიებში, სადაც მეფუტკრეობას მისდევენ. ამას გარდა, საჭიროა აწ არსებულ სამაგალითო მეფუტკრეობებთან დაარსდეს კურსები, სადაც უნდა ისწავლებოდეს მეფუტკრეობა.

17. ქუთაისის გუბერნიის ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელია მეურნეობა და საქონლის მოშენება, როგორც, მაგალითად, ლეჩხუმისა, რაჭისა და სხვა მაზრებში, დაინიშნონ შესაფერი ინსტრუქტორები.

---

ზარალ აქცევდა, ე. ი. კუდს ძალზე უჯანჯგურებდა, წაბლა კი წკავწკავებდა და ჰყეფდა. ყველაზე სატანჯელი ასეთი ფოკუსი იყო: თედო კანაფზე ხორცის ნაჭერს მოაბამდა ხოლმე და წაბლას აყლაპებდა. როცა წაბლა ჩაჰყლაპავდა, თედო კუჭიდან ისევ უკან ამოაძრობდა ხოლმე. რაც უფრო ნათელი იყო მოგონებანი, წაბლა უფრო ხმა მაღლა და უფრო მოწყენილად წკმუოდა.

მაგრამ დაღლილობამ და სითბომ თავისა გაიტანა და მოწყენილობა—დარდი დასჯაბნა, წაბლა ძილს შეუდგა. იმის გონებაში ძაღლებმა დაიწყეს სირბილი. სხვათა შორის, გაირბინა ბანჯგვლიანმა, ბებერმა, თეთრმა, თვალზე ბისუ-გადაკრულმა ძაღლმა, რომელსაც ცხვირზე მატყლის ბღუჯები ეკიდა. გაბურძგნულ ბალნით მერე თვითონ თედო შეიმოსა, მხიარულად დაიყეფა და წაბლას გვერდით გაჩერდა. მათ ერთმანეთის ცხვირებს დაჰსუნეს და ქუჩაში გაიქცნენ.

3

**ახალი, ძალიან სასიამოვნო ნაცნობობა.**

როცა წაბლას გაეღვიძა, უკვე თენდებოდა და ქუჩიდან ისეთი ხმაურობა მოისმოდა, როგორიც მხოლოდ დღეა ხოლმე. ოთახში ერთი სულიერიც არ იყო. წაბლამ გაიზმორა, დაამთქნარა და გაჯავრებულმა და კოხებ შეკრულმა ოთახში გაიარა, კუთხეებსა და ავეჯს დაჰსუნა, დერეფანშიაც გაიხედა, მაგრამ საინტერესო ვერა ნახა-რა. იმ კარებს გარდა, რომელიც დერეფანში გადიოდა, კიდევ ერთი კარი იყო. ცოტა ფიქრის შემდეგ წაბლამ ეს კარები გააფხაჭუნა, გააღო და მეორე ოთახში შევიდა. იქ, თბილ საბანწახვეული შემკვეთებელი იწვა. მასში წაბლამ გუშინდელი უცნობი იცნო.

— ღრრრღ...—დაიღრინა წაბლამ, მაგრამ გუშინდელი სადილი მოაგონდა და გაჩუმდა. სამაგიეროდ კუდის ქნევა და სუნვა დაიწყო.

წაბლამ უცნობის ტანისამოსსა და წაღებს დაჰსუნა და აღმოაჩინა, რომ ისინი ცხენის სუნითა ჰყარდნენ. საწოლ ოთახიდან კიდევ ერთი კარი სადღაც გადიოდა. წაბლამ ამ კარებზედაც დააფხაჭუნა, მკერდით მიაწვა და გააღო. მაშინვე რაღაც საკვირველი და საეჭვო სუნი ეცა. უსიამოვნო შეხვედრა მან წინ-დაწინვე იგრძნო, ამიტომ ღრენითა და თვალების ფაცაცით ერთ პატარა, ჭუჭყიან ოთახში შევიდა და შიშით უკან დაიწია. მან რაღაცა მოულოდნელი და საშინელი დაინახა. ერთი პატარა ბატი, თავ-დახრილი, კისერ გაწვდილი და ფრთებ გაფაფხული სისინით მისკენ მოდიოდა. ცოტა მოშორებით, პატარა ნაალზე თეთრი კატა იწვა. კატამ რომ წაბლა დაინახა, მაშინვე წამოხტა, ზურგი რკალივით მოხარა, კუდი აიზიკა, ბალანი აიბურძგნა და იმანაც დაისისინა. ძაღლს მართლა შეეშინდა... მაგრამ თავის შიშის დასაფარავად ხმა მაღლა დაიყეფა და კატას ეცა. კატამ ზურგი უფრო ძალიან მოხარა, დაისისინა და წაბლას თავში თათი გაარტყა. წაბლა გადახტა, ოთხივე თათზე დაწვა, დინგი წინ წაიწვდინა და ძლიერი წრიპინით აყეფდა; ამ დროს ბატი უკნიდან მიეპარა და ზურგში მაგრა ჩაუნისკარტა. წაბლა წამოხტა და ბატს ეცა.

— ეს რა ამბავია?—გაისმა მაღალი და გაჯავრებული ხმა და ოთახში ხალათითა და სიგარით პირში უცნობი შემოვიდა.—ეს რასა ნიშნავს? გისწით თქვენ ადგილას!—მერე კატას მიუახლოვდა, ამოზნექილ ზურგზე ჩაუწკიპურტა და უთხრა:—თევდორე ტიმოფეევიჩ, ეს რასა ნიშნავს? ჩხუბი დაიწყეთ? აი, შე ბებერო წყეულო! დაწექ!—მერე ბატს მიუბრუნდა და დაუყვირა:—ივან ივანიჩ, დაეგდე!..

კატა მორჩილებით დაწვა და თვალები დახუჭა. როგორც იმის ცხვირნიკაპსა და ულვაშებს ეტყობოდა, თითონაც არ იყო მადლიერი, რომ გაცხარდა და ჩხუბი დაიწყო. ბატმა კისერი წაიგრძელა, და რაღაცაზე გარკვეულად, ცხარედ და ჩქარა, მაგრამ გაუგებრად დაიწყო ლაპარაკი.

— კარგი, კარგი!—მთქნარებით სთქვა ბატონმა.—მეგობრულად და მშვიდად უნდა იცხოვროთ.—შემდეგ მან წაბლას ხელი გადაუსვა და განაგრძო:—შენ კი რუხვო, ნუ გეშინიან. ეს კაი საზოგადოებაა; არას გაწყენს... მოიცა, ეხლა შენ რა დაგარქვათ? უსახელოდ, ჩემო ძმაო, არ იქნება.

—უცნობმა ცოტა იფიქრა და სთქვა:

— აი რა, შენ იქნები ძალოა!.. გესმის, ძალოა!

შემდეგ, სიტყვა „ძალოა“ რამდენჯერმე გაიმეორა და გავიდა. წაბლა ჩაცუცქდა და ცქერა დაიწყო. კატა ნაალზე იწვა და თავს იმძინარებდა. ბატმა კისერი წაიწვდინა, ერთს ადგილზე ფეხები აატყაპუნა და რაღაცაზე ცხარე და ჩქარე ლაპარაკი განაგრძო. როგორც ეტყობოდა, ძალიან ჭკვიანი ბატი უნდა ყოფილიყო; ყოველ გრძელ ტირადას შემდეგ ის გაკვირვებული უკან იწევდა და თავს ისე იქნევდა, თითქოს თავისი ნალაპარაკევით აღტაცებაში თვითონვე მოდისო. წაბლამ ყური დაუგდო და უპასუხა: „ღრრრ“, შემდეგ წამოდგა და კუთხეებს დაჰსუნა. ერთ კუთხეში პატარა თაბახი იდგა, შიგ დაძველებული ცერცვი და შავი პურის დამბალი ქერქი ეყარა. წაბლამ ცერცვის გემო ნახა—არ ეგემა; ქერქი გასინჯა და ჭამა დაუწყო, ბატს ერთი ბეწოთიც კი არ ეწყინა, რომ უცხო ძაღლი იმის საჭმელსა სჭამდა, პირიქით, უცხო ცხარედ ალაპარაკდა და რომ თავისი ნდობა გამოეცხადებინა, თითონაც მივიდა და რამდენიმე ცერცვი შესჭამა.

**სასწაული ჩარჩოში.**

ცოტა ხნის შემდეგ უცნობი ხელახლად შემოვიდა და თან რაღაც საკვირველი რამ შემოიტანა. ეს რაღაცა ჭიშკრის ჩარჩოსა ჰგავდა. იმის ხარიხაზე ზარი ეკიდა და მიბმული იყო დამბაჩა. ზარის ენასა და დამბაჩის ფეხს კანაფები ება. უცნობმა ეს ჭიშკარი შუა ოთახში დადგა, მერე რაღაცას დიდხანსა ჰკრავდა და ხსნიდა, ბოლოს მიუბრუნდა ბატსა და უთხრა:

— ივან ივანიჩ, მობრძანდით!

ბატი მიუახლოვდა და ლოდინში გაჩერდა.

— აბა,—სთქვა უცნობმა:—თავიდან დავიწყოთ. უწინარეს ყოვლისა თავი დაგვიკარ და რევერანსიც გაგვიკეთე. მარდად!

ბატმა კისერი წაიგრძელა, თავი ყოველ მხრივ გადიქნია და ფეხი გააცურა.

— ეგრე, ყოჩაღ! ეხლა მოკვდი!

ბატი ზურგზე დაწვა და ფეხები აიშვირა. ამისთანა უმნიშვნელო კიდევ რამდენიმე ფოკუსი გააკეთეს. შემდეგ უცნობმა თმებზე ხელი ერთბაშად წაივლო, სახეზე საშინელება გამოისახა და დაიყვირა:

— ვიწვით! ცეცხლი გვეკიდება!

ბატმა ჭიშკართან მიირბინა, ბაწარი ნისკარტში დაიჭირა და ზარს ჩამოჰკრა.

უცნობი ძალიან კმაყოფილი დარჩა, ბატს კისერზე ხელი წამოუსვა და უთხრა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ეხლა ჩარმოიდგინე, რომ ოქრომჭედელი ხარ და ბრილიანტებითა ვაჭრობ, წარმოიდგინე, რომ შენს დუქანში მიხვედი და იქ ქურდები დაგიხვდნენ. ამ შემთხვევაში როგორ მოიქცევი?

ბატმა ნისკარტი მეორე ბაწარს წაავლო და გამოსწია. იმ წამსვე სროლის დამაყრუებელი ხმა გაისმა. ზარის ხმა წაბლას ძალიან მოეწონა. სროლამ კი ისეთი აღტაცებაში მოიყვანა, რომ აყეფდა და ჩარჩოს გარშემო სიარული დაიწყო.

— ძალოავ, შენს ადგილს დაეგდე!—შეჰყვირა უცნობმა.—ჩუმად იყავ!

ბატის საქმე სროლით არ გათავებულა. უცნობი კიდევ მთელი საათი დაარბენინებდა და თან შოლტს ატყლაშუნებდა. იგი ბატს ხან ხარიხაზე ახტუნავებდა, ხან რგოლში აძვრენდა, ხან ყალყზე აყენებდა, ე. ი. ბატი კუდზე დგებოდა და ფრთებს აქნევდა. წაბლა თვალს არ აშორებდა, აღფრთოვანებული გასწკმუოდა და მხიარულის ყეფით რამდენჯერმე უკანვე გამოუდგა. როცა თვითონაც დაიღალა და ბატიც მოქანცა, უცნობმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და დაიყვირა:

— მარიამ, ერთი თხუპნიას დამიძახე.

ცოტა ხნის შემდეგ ყრუტუნი შემოისმა... წაბლამ დაიღრინა, თავი გულადად დაიჭირა და ყოველ შემთხვევისათვის უცნობთან მივიდა. ოთახში ერთმა ბებერმა დედაკაცმა შემოიხედა, რაღაცა სთქვა და ერთი შავი, ძალიან მახინჯი ღორი შემოაგდო. ღორმა წაბლას ღრინვას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, თავისი დინგი ასწია და მხიარულად დაიღრუტუნა. როგორც ეტყობოდა, თავისი ბატონის, კატის და ბატის ნახვა ძალიან ეამა. როცა კატასთან მივიდა და დინგი მუცელში ამოჰკრა, მერე ბატს რაღაცა უთხრა, იმის ხმაში, მოძრაობაში, კუდის კანკალში რაღაცა კეთილი გაისმოდა. წაბლა წამს მიხვდა, ამისთანა პიროვნებას რომ დაჰყეფოს და დაღრინოს უსარგებლო იქნება.

ბატონმა ჭიშკარის ჩარჩო აიღო და დაიყვირა:

— ფეოდორ ტიმოფეიჩ, მობრძანდით!

კატა წამოდგა, გაიზმორა და ზარმაცად, ისე თითქოს ვისმე სიკეთეს უშვრებაო, ღორს მიუახლოვდა.

— აბა! ეგვიპტის პირამიდიდან დავიწყოთ!—სთქვა პატრონმა.

ის დიდხანს ჯერ რაღაცას უხსნიდა და მერე დაიყვირა: „ერთი... ორი... სამი...“ ბატმა, ამ უკანასკნელ სიტყვასთან ერთად ფრთები აიქნია და ღორს ზურგზე შეახტა. როცა ბატი ფრთებისა და კისრის ქნევით ღორის ჯაგრიან ზურგზე გამაგრდა, კატა მოწყენილად და ზანტად, ისე თითქოს თავისი ხელობა ეზიზღება და არად აგდებსო, ღორს ზურგზე შეახტა, ბატის ზურგზე უგულოდ აცოცდა და უკანა ფეხებით ზედ დადგა. გამოვიდა ის, რასაც უცნობი ეგვიპტის პირამიდას ეძახდა. წაბლამ აღფრთოვანებით დაიწყო კმუტუნი, მაგრამ ამ დროს ბებერმა კატამ დაამთქნარა, თანასწორობა დაჰკარგა და ბატის ზურგიდან ერთბაშად გადმოვარდა. ბატი დატოკდა, და ისიც გადმოვარდა. უცნობმა დაიყვირა, ხელები გაიქნია და კვლავ რაღაცის ახსნა დაიწყო.

სწავლა იმით გათავდა, რომ უცნობმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ოთახიდან გავიდა. კატამ ზიზღით დაიფრუტუნა, თავის ნაალზე დაწვა და თვალები დახუჭა.

ბატი თაბახს მიუახლოვდა, ღორი კი გაიყვანეს. მრავალ ახალ შთაბეჭდილებათა მეოხებით, წაბლასათვის დღემ შეუმჩნევლად განვლო. ხოლო საღამოთი ნაალი იმ ჭუჭყიან ოთახში გადაუტანეს და დახე კატასა და ბატის გვერდით გაატარა.

ი. ტ.

(დასასრული იქნება)

18. გუბერნიაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან დაარსდეს სპეციალური კურსები. ამ კურსებზე უნდა ისწავლებოდეს ფრინველის მოვლა-მოშენება. ამას გარდა, უნდა გამოიცეს პოპულიარული წიგნაკები, გაიმართოს საკონკურსო გამოფენები და ხელი შეეწყოს ისეთ ამხანაგობების დაარსებას, რომელთაც აზრად ექმნებათ ფრინველთა ჯიშის გაუმჯობესება და მოშენება.

19. აბრეშუმის ჯიშის თესლს უსათუოდ კანტროლი უნდა დაეწესოს.

20. მცხოვრებთ დროზე უნდა მიეცეთ აბრეშუმის ჭიის საღი თესლი.

21. აბრეშუმის ჭიის რიგიანად გამოსაკვებად საჭიროა ხალხში გავრცელდეს ამის შესახებ ცოდნა, რისთვისაც უნდა გამოიცეს პოპულიარული წიგნაკები. ამას გარდა, დრო გამოშვებით უნდა იკითხებოდეს შესაფერი ლექციები.

22. შუამდგომლობა აღიძრეს, რომ შემცირდეს ან სულ მოისპოს ქუთაისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა მიერ დაქირავებულ სტრაჟნიკების ხარჯი.

23. შუამდგომლობა აღიძრეს, რომ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო დაბალი სასწავლებელი საშუალო სასწავლებლად გადაკეთდეს. სანამ ამ შუამდგომლობას შეიწყნარებდნენ, საჭიროა ამ სასწავლებელში გაიხსნას მეოთხე კლასი, რომ სასწავლებელმა მოამზადოს მასწავლებელნი ორ კლასიან სახალხო სკოლების სააგრონომიო განყოფილებებისთვის.

24. შუამდგომლობა აღიძრეს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებასა და სახელმწიფო მამულების ქუთაისის სამართველოს წინაშე, რომ გაძლიერონ თანხა ხორში სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის შესანახად.

25. დაარსდეს სოფლებსა და ქალაქებში სასოფლო-სამეურნეო კურსები. სოფლის მეურნეობის ინსტრუქტორებს დაევალოთ ხელმძღვანელობა გაუწიონ სასოფლო-სამეურნეო კურსებს. სასურველია, რომ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მასწავლებლებმა დახმარება გაუწიონ სასოფლო-სამეურნეო კურსებს და შესაფერი ლექციები მოაწყონ. სასურველია აგრეთვე, რომ სოფლის საზოგადოებებმა კურსების მოწყობაში მონაწილეობა მიიღონ.

25. ეთხოვოს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მიიღოს ზომები შესაფერ გაზეთის გამოსაცემად. ამას გარდა, დახმარება უნდა გაეწიოს ქართულ საზოგადო ჟურნალს „მოსავალს“.

26 ეთხოვოს „კოლხიდის“ და „კუხის“ ამხანაგობებს, წინასწარ შეადგინონ სია იმათი, ვისაც სურს თესლეულების გამოწერა და ამ სიის მიხედვით გამოიწერონ თესლი.

27. სასურველად იქნას ცნობილი ქალთა შორის პროფესიონალურ განათლების გავრცელება.

28. სასურველად იქნას ცნობილი ქალთა საზოგადოებამ „შრომამ“ განახლოს მოქმედება.

29. ეთხოვოს ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს, რომ უმაღლესად ნაზოძევ ფულიდან ან სხვა თანხიდან დაარსოს ორი სტიპენდია სტებუთოვის ქალთა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსებზე.

30. სასურველია გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებში ყოველ წლივ იმართებოდეს ქალის შრომის ნაწარმოებთა მოძრავი გამოფენები.

31. დაარსდეს ქუთაისში ქალთა სასოფლო-სამეურნეო საშუალო სასწავლებელი, ხოლო სანამ ასეთი სასწავლებელი დაარსდებოდეს, აღიძრას შუამდგომლობა, რომ ადგილობრივ ქალთა საშუალო სასწავლებლებში შემოიღონ სწავლება იმ საოჯახო და საშინაო მეურნეობისა, რომელიც ადგილობრივ საჭიროებას წარმოადგენს. აღიძრას აგრეთვე შუამდგომლობა, რომ სოფლად დაარსდეს პირველ-დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

32. ეთხოვოს „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ქუთაისის განყოფილებას დაარსოს გუბერნიის რომელსამე ადგილში საოჯახო საქმის სკოლა (школа домоводства).

33. სოფლის მეურნეთა კრების მოწვევა დაევალოს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას.

34. აღიძრას შუამდგომლობა, რომ გუბერნიის მთიან ნაწილში, სვანეთში, დაარსდეს მეფუტკრეობის სკოლა.

35. მომზადდნენ ინსტრუქტორებად ისეთები, ვინც ადგილობრივი ენა იცის.

36. იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივ პირობების მიხედვით არსებულ ორ კლასიან სასწავლებელთან შეუძლებელია აგრონომიულ განყოფილების დაარსება, მოეწყოს საფუტკრეები.

37. აღიძრას შუამდგომლობა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსების წინაშე, რომ 1909—1910 წ.წ შეაჩერონ სადრამო ფულის აკრება.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 22 ოქტომბერს, ქართულ თეატრში, აბონიმენტის რიცხვში წარმოდგენილი იქნება: შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ და ვ. გუნიას „დედის ერთა“. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

**„ოტელლო“ თათრულად.** სამშაბათს, 20 ოქტომბერს, ქართულ თეატრში თათრულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქმნა შექსპირის „ოტელლო“. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

**სახალხო წარმოდგენა.** შაბათს, 24 ოქტომბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში, წარმოდგენილი იქნება მოლიერის „ტარტიუფი“. ტარტიუფის როლს შეასრულებს ი. ზარდალაშვილი.

**ვ. აბაშიძის ავადმყოფობა.** როგორც გავიგეთ, ნიჭიერი მსახიობი ვასილ აბაშიძე ამ ჟამად ავად არის. მომავალ კვირას მსახიობი ქუთაისში უნდა წასულიყო იქ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ამ მიზეზით უარი შეუთვალა. ვასილ აბაშიძეს ქარები აქვს.

**ნინო ჩხეიძის გასტროლი.** ამ ცოტა ხანში ქუთაისიდან ტფილისში საგასტროლოდ ჩამოვა ნინო ჩხეიძე. ჩხეიძე შეასრულებს მთავარ როლს ზუდერმანის პიესაში „მამულ-დედულ“-ში.

—

**დრამატიულ**... სამშაბათ, 20 ოქტომბერს, მოხდა სხდომა დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა. ამ სხდომაზე მიიწვიეს გარეშენიც- გარეშეთაგან შესდგა წრე, რომელიც გამგეობა დაეხმარება წლევანდელ სეზონის გაუმჯობესებაში. უმთავრესი საქმე ამ წრისა რეპერტუარის შემუშავებაა.

## უცხოეთი

**ინგლისი და ინდოეთი.**

ამას წინად ინდოეთის ყოფილმა „ვიცე კოროლმა“ კერზონმა ედინბურგში სიტყვა წარმოსთქვა ინდოეთის მდგომარეობაზე. კერზონის აზრს დიდის ყურადღებით შეხვდნენ ინგლისში. გაზეთებს მოჰყავდათ კრეზონის აზრი და თავის მხრივ შესაფერ შენიშვნებს უმატებდნენ. ინდოეთის საკითხი მეტად აინტერესებს ინგლისელებს. როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ინდოეთთან—რომ ინგლისმა თავისი გავლენა არ დაჰკარგოს—ეს კითხვა, რომელიც დიდ კამათს იწვევს ხოლმე ყოველთვის. კრეზონმა გაჰკიცხა ინგლისელები, პოლიტიკური სიბეცე დასწამა, ინდოეთის ვასი არ იციანო. ინდოეთი ერთი საუკეთესო ადგილია ინგლისის სახელმწიფოში და მომავალშიაც თუ უნდა ინგლისს თავისი მდგომარეობა აზიაში უზრუნველჰყოს, უნდა გამაგრდეს ინდოეთში. ინდოეთს უდიდესი გავლენა აქვს იმ ხალხთა მოძრაობაში, რომლებიც ინგლისის ქვეშევრდომობის ქვეშ იმყოფებიან აზიასა და სამხრეთში. ვისაც ინდოეთი უჭირავს, ის სახელმწიფო უდიდესი სახელმწიფოა აზიაში. ინდოეთი რომ გამოეცალოს ხელიდან ინგლისს და სხვა რომელიმე სახელმწიფოს ხელში გადავიდეს, ინგლისი დაჰკარგავს ყველ სავაჭრო ადგილებს აზიაში, მისი გავლენაც მეტად უმნიშვნელო იქნება და პირველ ხარისხოვან სახელმწიფოდან ის მესამე ხარისხოვანთა რიგში ჩაირიცხებაო.

ადგილობრივ მცხოვრებთაგან მხოლოდ უმცირესობა უცქერის მტრულად ინგლისის მთავრობას. უმრავლესობა მზად არის პირნათლად ემსახუროს ინგლისს, რომელიც „ლუკმა პურსა და სამუშაოს აძლევს რამდენიმე მილიონ“ ხალხსაო. ამ ბოლო დროს ინდოეთში გროვნული სული იღვიძებს, მოძრაობა იწყებაო. ინგლისი უნდა ეცადოს მართვა გამგეობის ცენტრალიზაციას. ვიცე კოროლის დანიშვნა უსარგებლოა, ინდოეთი პირდაპირ ინგლისის მეფეს უნდა ექვემდებარებოდესო. ადმინისტრატიულ გამგებლობის სათავეში გენერალ-გუბერნატორი შეიძლება იყვეს.

კერზონმა ისიც აღნიშნა, თუ როგორ გააბედნიერა ინგლისმა ინდოეთი. განვითარდა მეურნეობა, აუარებელი დაუმუშავებელი მასალა გამოაქვს ინგლისს ინდოეთიდანაო. ბოლოს კრეზონმა აღნიშნა, ინგლისმა უნდა შეაგნებინოს ინდოელებს, რომ ინგლისის ქვეშევრდომობით ისინი უნდა ამაყობდნენ.

კონსერვატიული პრესა ძლიერ აღფრთოვანებულია კერზონის სიტყვით. ლიბერალები კი იწუნებიან კერზონის დასკვნას, და ამბობენ, თუ ინგლისს უნდა ადგილობრივ მცხოვრებთა ნდობა დაიმსახუროს, საჭირო რეფორმები უნდა შემოიღოსო. დეპუტატთა პალატის უმრავლესობამ დაიწუნა ლიბერალურ რეფორმათა პროექტი, ჯონ მორლის მიერ შემუშავებული. თითონ კრეზონმა ხმაც არ ამოიღო ამ პროექტის დასაცავად.

**მაურას გადაყენება.**

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, მაურა გადააყენეს მინისტრობიდან. აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი იმდენად ძლიერი იყო, რომ ფერეროსა და სხვა ესპანელთა დამჯელი დიდხანს ვეღარ დარჩებოდა ქვეყნის ბრძანებლად. მაურას სიტყვა წარმოუთქვამს კონსერვატორ დეპუტატთა კრებულის წინაშე. მისი აზრით, დემონსტრაციები და კატალონიის ამბები გამოწვეულია იმით, რომ მაროკოში საქმე კარგად ვერ მიდის, ამიტომ შეიძლება კონსერვატორები დაეთანხმონ ზოგიერთ ლიბერალურ რეფორმათა ცხოვრებაში გატარებას, თუ ეს რეფორმა მაროკოს საქმეების მოსაგვარებლად არის მიმართული. რაც შეეხება სხვა რეფორმებს, რომლის განხორციელება ეხლანდელ ლიბერალურ სამინისტროსა სწადიან—კონსერვატორების თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს. კონსერვატორები აშკარად უნდა წინაეღუდგნენ ლიბერალურ მთავრობის რეფორმებს. ვინც რევოლიუციის მტერია, უნდა შეუერთდეს კონსერვატორებს და იმათთან ერთად იბრძოლოს ეხლანდელ მთავრობის წინააღმდეგო.

ამ სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაურამ. კონსერვატორების გული მოიგო, ხოლო ზოგიერთა ლიბერალურმა გაზეთმა მეტად სასტიკად გაჰკიცხეს მაურა, რომელმაც ლიბერალები ანარქისტებად მონათლა. ზოგიერთმა ლიბერალთა გაზეთმა მაურა პირდაპირ ჭკუაზე შემცდარად ჩასთვალა.

**ახალი გენერალ-გუბერნატორი ტრანსვაალში.**

სამხრეთ აფრიკის ფედერატულ რესპუბლიკების ორონჟესა, კაპისა და ტრანსვაალის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს გლადსტონი. ლონდონის პრესა თანაგრძნობით შეხვდა გლადსტონის დანიშვნას. სამხედრო აფრიკაშიაც კმაყოფილნი არიან ამ დანიშვნით.

**იტოს მკვლელი.**

გაზეთების სიტყვით, იტოს მკვლელი იაპონიის საელჩოსათვის გადაუციათ. შეუპყრიათ კიდევ ათი კორეელი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ მკვლელთან ერთად ესენიც შეთქმულებაში იღებდნენ მონაწილეობას. მკვლელი უმაწვილი კაცია, სწავლა-განათლება პარიზში მიუღია. ჩვენების ჩამორთმევის დროს მან განაცხადა, რომ იტოს მოკვლით არ გათავდება კორეის ისტორია. „გაუმარჯოს კორეას“, დაამთავრა ჩვენება მკვლელმა.

**იტოს დაკრძალვა.**

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ გაზეთებს, რომ იტოს დასაკრძალავად ფულს ხაზინა გაიღებსო. მიკადომ გამოსცა ბრძანება, რომ იტოს ცხედარი განსაკუთრებული კრეისერით მოასვენონ იაპონიაში. ცხედრის მოსვენების დღე ეროვნულ სამგლოვიარო დღედ უნდა ჩაითვალოს.

იაპონიის ყველა ადგილებიდან იტყობინებიან, რომ ხალხი დიდს მწუხარებან აცხადებს იტოს მოკვლის გამო.

**იტოს მოადგილე.**

იტოს მოადგილეთ მთავრობამ დანიშნა გრაფი სონე, რომელიც იტოს მახლობელი თანაშემწე იყო კორეის საქმეებში. გრაფი სონე წინად იაპონიის ელჩად იყო პარიზში.

**კრიტეს საკითხი.**

„ფოსიშე ცაიტუნგის“ სიტყვით, კრიტეს მცხოვრებნი მზად არიან დროებით უარჰყონ კუნძულის საბერძნეთთან შეერთების აზრი. კრიტელები თხოულობენ მხოლოდ ისეთ ავტონომიას, როგორიც აღმოსავლეთ რუმელიას მიენიჭა 1885 წლის შემდეგ. ამ ავტონომიით, კრიტელები ნამდვილად საბერძნეთთან იქნებიან დაკავშირებულნი: ჯარი, ადმინისტრატიული დაწესებულებანი და სხვანი საბერძნეთისა იქნება. ოსმალეთის სულთანს დარჩება სუვერენიტეტის უფლება. სტამბოლიდან კიდევ სხვა ცნობებს ატყობინებენ გაზეთებს. ოსმალეთის მთავრობას წინადადება მიუცია კრიტეს მფარველ სახელმწიფოებისათვის კონგრესი მოიწვიონ რომში კრიტეს საკითხის გამოსარკვევად. ამ კონგრესზე განიხილავენ კრიტეს ავტონომიის პროექტს, რომელიც ოსმალეთის მთავრობას შეუმუშავებია. არავინ იცის ამ ავტონომიის შინაარსი. ფიქრობენ-კი, რომ ოსმალეთი უბრალო სუვერენიტეტზე არ დასთანხმდებაო. ჯერ ხნობით-კი ოსმალეთის მთავრობამ აცნობა საბერძნეთის მთავრობას, რომ თუ კრიტელები დეპუტატებს გაჰგზავნიან საბერძნეთის პარლამენტში, ეს ძალის ხმარება იქნება. ოსმალეთიც ეცდება თავისი უფლებები დაიცვას.

საბერძნეთის მთავრობამ თავის მხრივ დაამშვიდა ოსმალეთი: არჩევნების დრო იმიტომ გადავდეთ, რომ კრიტეს საკითხის გადაწყვეტისათვის მოგვეცადაო. კრიტეს საკითხი მეტად გამწვავებულია და თუ მფარველი სახელმწიფოები ენერგიულად არ ჩაერევიან საქმეებში, შეიძლება ბალკანეთის მაქმეები ერთობ გართულდეს.

## რუსეთი

**✦ დამოუნაში.** ამ დღეებში პეტერბურგის დამოუნაში ადმინისტრაციას მიუწვევია სახელმწიფო სათათბიროს შრომის ჯგუფის და სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ზოგიერთი წევრები, თქვენ სახელობაზე საზღვარ-გარეთიდან წერილები მოსული, დამოუნამ უნდა გასინჯოს შიგ რა აწყვია და თქვენც დაესწარით პაკეტების გახსნასო. დეპუტატები გამოცხადებულან დამოუნაში და პაკეტების გახსნას დასწრებიან. პაკეტებში ყოფილა ჟურნალ „პროლეტარის“ ნომრები. დამოუნის უფროს დეპუტატებისთვის უთქვამს, ჩვენ იმიტომ გავხსენით თქვენ სახელზე მოსული პაკეტი, რომ კანონის ძალით არ შეიძლება გაზეთები დახურულ კონვერტებში გაიგზავნოსო.

**✦ სტუდენტების რეზოლიუცია.** მკითხველმა იცის, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა კრება გამართეს და პროტესტი განაცხადეს ფერრეროს სიკვდილით დასჯის გამო. კრებამ სხვათა შორის, საპროტესტო რეზოლიუცია გაუგზავნა ესპანიის საელჩოს პეტერბურგში. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, საელჩოს ძალიან სწყენია ეს და რეზოლიუცია გაუგზავნია უნივერსიტეტის რექტორისთვის. ამას გარდა ესპანიის ელჩს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრისთვისაც მოუხსენებია ამ რეზოლიუციის შინაარსი. ამბობენ, ამ ინციდენტს განიხილავს მინისტრთა საბჭოო.

**✦ ბულაცელი და ფინლიანდიის სასამართლო.** როდესაც ფინლიანდიის სასამართლო მე-27 ჯერ იხილავდა გერცენშტეინის მოკვლის საქმეს, დუბროვინის დამცველმა ბულაცელმა შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს, რაიც იმაში გამოიხატა, რომ ბულაცელმა სასამართლოში რევოლვერი ამოიღო, ხმა მაღლა ყვიროდა და მოსამართლეების სტოლს რამდენჯერმე მუშტი დაარტყა. კიუვენპეს სასამართლოს პროკურორს უკვე სამართალში მიუცია ბულაცელი. მომჩივნებად გამოვლენ პროკურორი და მოსამართლეები.

**✦ ადმინისტრატიულად გადასახლება.** პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ შინგარიოვისთვის უთქვამს, ადმინისტრატიულად გადასახლება რაც შეიძლება შემცირდებაო.

**✦ ფრაქციიდან გასვლა.** სახელმწიფო სათათბიროს ზომიერ მემარჯვენეების ფრაქციიდან რვა გლეხი გასულა. გლეხების აზრით ზომიერი მემარჯვენეები გლეხების ინტერესებს არ იცავენ.

**✦ სამართალში მიცემა.** „კას“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: საერო განათლების მინისტრმა სადისციპლინარო სამართალში მისცა პეტერბურგის უნივერსიტეტის ის სტუდენტები, რომლებმაც ნება დაურთველად სტუდენტების კრება გამართეს და პროტესტი განაცხადეს ფერრეროს სიკვდილით დასჯის გამო.

**✦ საფოსტო მარკების ყიდვა.** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობას გადაუწყვეტია კერძო დუქნებში ნება აღარ მისცეს მარკების გაყიდვისა. მარკები ფოსტის გარდა გაიყიდება აფთიაქებში იმ ფასად, როგორც ფოსტაში. აფთიაქებს შრომის ფასი მიეცემათ.

**✦ რეფორმა.** საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად იხილავენ ქალების უმაღლეს სწავლის საკითხს. განზრახული აქვთ ქალთა უმაღლეს სწავლის რეორგანიზაცია. სამინისტრო წინააღმდეგია, რომ ქალები უნივერსიტეტებში სწავლობდნენ. „ნოვაია რუს.“ სიტყვით სამინისტროს აზრით უნდა დაარსდეს ქალთა ისეთი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც უნივერსიტეტის პროგრამმა ექნებათ.

**✦ მკვლელობა.** როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ დღეებში პეტერბურგში მოჰკლეს უცნობი. გამოირკვა, რომ მოკლული ინჟინერი გილევიჩია. პეტერბურგის მაძებარ პოლიციას გაზეთების რედაქციებისთვის ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნია, ხელი შეგვიწყეთ, რომ გილევიჩი დავაპატიმროთო.


კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღნინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—199)



მეორე სპეციალური კლასი ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლისა
(ჩინის მიღების უფლებით)
იხსნება ამა წლის პირველ იანვარს. სწავლა ნაშუად. 4½ ს.-დან. ნახევარი წლის ფასი 60 მ. წინ და წინვე უნდა იქმნას შეტანილი. მოსამსახურეთათვის განაწილება შეიძლება.
ველიკო-კნიაზის ქ., N 17, ვორონცოვის ძეგლის მაღლობლად. მესახელი მიზეროს პროსპ. N 16-18.
(3—513—2)



პროვოდნიკის



1897 წ.







1888

1908 წ.

ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●
ლინოლეუმი, აუარებელი ერთფერიანი უზორებიანი,
ასბესტის კარტონი,
ასბესტის და ტალკის ნაბივკა
ახალი რამ:
„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.
ლინკრუსტა (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის დასაუკეთესოე კონომიისთვის.


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.